პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი ხუთშაბათი 19 მარტი № 66 (18008) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ! ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘᲐ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ნათლად თქვა, რომ „სასურსათო პროგრამის საფუძველია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა“. სოფლის მეურნეობის და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მთლიანად სახალხო მეურნეობის წარმატების საწინდარია კარგი თაოსნობის შედეგად გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. თაოსნობა საქმის წარმატებით დაგვირგვინების საფუძველთა-საფუძველია. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ დიდი შეფასება მისცა აბაშელთა თაოსნობას სახოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციის გზებისა და ფორმების სრულყოფას რომ ითვალისწინებდა. „დელეგატებს მოეხსენებათ, — თქვა ე. ა. შევარდნაძემ, — რომ ექსპერიმენტის წესით რესპუბლიკაში შეიქმნა აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველო...“. შემდეგ იქვე თქვა, რომ — „აბაშის რაიონის გამოცდილება, რომელშიც, თავის მხრივ, აისახა უკრაინის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის, სტავროპოლის მხარისა და სხვათა პრაქტიკა და მიღწევები, წარმატებით დაინერგა 14 რაიონში, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედში დაინერგება მთელ რესპუბლიკაში“. აბაშელთა თაოსნობა რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა და მთელ კავშირში ფართოდ ვრცელდება.

როგორც ვხედავთ, აბაშელთა დიდი თაოსნობა ფრთას ისხამს, მკვიდრდება და ძალას იკრებს. ისეა — ცხოვრებით ნაკარნახევ და შემოწმებულ ინიციატივას ყოველთვის ფართო შარა აქვს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ყოველი თაოსნობა, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მოიწონეს და რეკომენდაცია მისცეს პრაქტიკაში დასანერგავად, საწარმოთა და საწოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. ყველას ახსოვს მეათე ხუთწლედში მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა არაერთი თაოსნობა, რომლებმაც დიდი სასარგებლო საქმე გაიკეთეს დავალებათა ვადამდე შესასრულებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგს რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ და შრომითმა კოლექტივმა გამოიჩინა თაოსნობა ახალ დავალებათა ვადამდე და გადამეტებით შესრულებაში. აქ აღსანიშნავია თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ სახელგებლო თაოსნობა, რომელმაც რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის შუშაკებს მოუწოდა ახალ სოციალისტურ შეჯიბრებაზე. ამ შრომითი თაოსნობის შესახებ ვრცლად იყო ლაპარაკი გაზეთ „კომუნისტის“ ამასწინანდელ მოწინავე წერილში — „სოციალისტური შეჯიბრების ახალი ეტაპი“.

ჩვენი პარტიის XXVI ყრილობამ მეთერთმეტე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ვრცელი პროგრამა დაგვიხატა. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა სასურსათო პროგრამის საფუძველია. ეს დღეს აქსიომაა და წინსვლის ორიენტირი ამის მიხედვით უნდა განვსაზღვროთ. სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია მეცხოველეობა. ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „მეცხოველეობა დღეს დამკვრელური ფრონტია სოფლად“. ეს ნიშნავს, რომ პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამაში მეცხოველეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და პროდუქტების წარმოების გადიდების მიზნით კარგი თაოსნობა წამოიწყო ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის სანაშენე ფერმის ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნაზო პეტრიაშვილმა. მან რესპუბლიკის მეცხოველეობის ფერმების ბრიგადირებს მოუწოდა ფართოდ გააჩაღონ წყვილთა სოციალისტური შეჯიბრება.

როგორია შეჯიბრების ახალი ფორმა? ბრიგადამ, როცა რაიონის სხვა საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმების მუშაკებთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას აფორმებდა, ერთერთ მთავარ მუხლად ის შეიტანა, რომ შეფობა უნდა გაეწიათ თავიანთივე ფერმის მეორე ბრიგადისათვის იმ ვარაუდით, რომ ისიც მოწინავეთა დონემდე წამოწეულიყო. მოწინავე ჩამორჩენილ ბრიგადასთან შეწყვილებული ეჯიბრება მეორე მოწინავე და ჩამორჩენილ შეწყვილებულ ბრიგადას. გაიმარჯვებს ის ბრიგადა, რომელიც თავის მეწყვილეს მოწინავეს გახდის. შეჯიბრების ეს ახალი ფორმა პარტიის ახმეტის რაიკომმა და რაიხბჭოს აღმასკომმა, სოფლის მეურნეობის სამმართველომ მოიწონეს და ფართოდ დაუჭირეს მხარი. ახლა რაიონში „წყვილთა შეჯიბრების“ მეოხებით თითქმის აღარ არის მეცხოველეობის ჩამორჩენილი ბრიგადები.

ზემოალვანელი ბრიგადირის პატრიოტულ თაოსნობას რესპუბლიკის სასოფლო რაიკომებმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, კომუნისტებმა ერთხმად უნდა დაუჭირონ მხარი, რომ მეცხოველეობა მართლაც დამკვრელური ფრონტი იყოს სოფლად, რომ მეცხოველეებმა გადამწყვეტი სიტყვა თქვან სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

წყვილთა სოციალისტური შეჯიბრების არსი ის არის, რომ ბრიგადები რენტაბელური იყოს, ხოლო თუ ბრიგადები მოწინავენი იქნებიან, მოლიანად ფერმაც მოწინავე გახდება. ძლიერი ფერმა კი საზოგადოებრივი მეურნეობის საფუძველია, სადაც წყდება პროდუქტების სიუხვის ბედი.

სასურსათო პროგრამის საფუძველია სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. ამ პროგრამის განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სოციალისტური შეჯიბრების ძველ, ნაცად ფორმებთან ერთად ახალიც დავამკვიდროთ. ახეთია სწორედ „წყვილთა შეჯიბრებაც“. ეს ფორმა არა მარტო მეცხოველეობაში, არამედ მემცენარეობაშიც ფართოდ უნდა გავრცელდეს. მოწინავე შეჯიბრებაში გამარჯვებულად არ ჩაითვლება, თუ თავისი საშეფო მუშაობით მასთან შეწყვილებული ჩამორჩენილი ბრიგადაც მოწინავეთა დონეზე არ აიყვანა. შეჯიბრების ეს წესი შეიძლება სამრეწველო და სამშენებლო კოლექტივებშიც დაინერგოს, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო საქმეს.

რესპუბლიკის სამრეწველო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებმა, ამასთან ერთად, უნდა განაგრძონ ადრე ნაცადი შეჯიბრების ფორმების გამოყენება. „რაოდენობაც, ხარისხიც!“, „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდთან!“, „ვიმუშაოთ ბრიგადული მეთოდით“ და სხვა. სოციალისტური შეჯიბრების ფორმების ძიება გრძელდება. ამასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა ყურადღება იმაზე უნდა გავამახვილოთ, რომ შეჯიბრებაში ფორმალიზმი დამდუბველია და მის წინააღმდეგ აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ.

ყველა სასარგებლო თაოსნობის მხარდაჭერისა და გავრცელებისათვის ყველა კომუნისტი, ყველა მშრომელი დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს. უნდა ვიშრომოთ ენერგიის დაუშურებლად, მთელი ნიჭი და უნარი უნდა მოვახმაროთ იმას, რომ სკკპ XXVI ყრილობის მიზანდასახულობანი უთუოდ, განუხრელად შესრულდეს.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲠᲙᲔᲗᲘ

ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲓᲓᲐ ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემების მართვის ავტომატიზებული სისტემის მეორე რიგი. მისი ტექნიკური, მათემატიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფის, დანერგვისა და ამოქმედებისათვის შესრულდა ორგანიზაციულ-ტექნიკური და მეცნიერული ხასიათის საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები.

ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემა მოიცავს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ერთიან ენერგოსისტემას უერთდებიან.

ამ მეურნეობას ხელმძღვანელობს გაერთიანებული სალისპეტჩერო სამმართველო, სადაც შექმნილია მძლავრი გამოთვლითი ცენტრი და ინფორმაციის შეგროვებისა და ასახვის სისტემა. ოპერატიულ-ინფორმაციულ კომპლექსში შემავალი ელექტროენერგეტიკული მანქანები მუშაობენ ტექნოლოგიური პროცესის სინქრონულად, დროის რეალური მასშტაბით და უზრუნველყოფენ ტელეინფორმაციის მიღებასა და იმ მასივების ფორმირებას, რომელთა რეგისტრაცია და ეკონომიკური ანალიზისათვის, აგრეთვე სტრუქტურული სქემებისა და საცნობარო ინფორმაციის ასახვას პერსონალის მოთხოვნის მიხედვით.

განხორციელებულია გამომთვლელი მანქანების ავტომატური რეზერვირების სქემა, ინფორმაციის შემყვანი და გამომყვანი მოწყობილობების გადართვით, წამყვანი და მიმყოლი მანქანების ამორჩევით. ასეთი სქემა პრაქტიკულად გამორიცხავს შეფერხებებს ოპერატიულ-ინფორმაციული კომპლექსის მუშაობაში. გარდა ამისა ოპერატიულ-ინფორმაციული კომპლექსის გამომთველი მანქანები დაკავშირებულია გამომთველი კომპლექსის მანქანებთან, რაც საშუალებას იძლევა მიმდინარე ტელეგაზომვების საფუძველზე გაერთიანების რეჟიმის ოპტიმალური მართვისათვის ოპერატიული გამოთვლები ვაწარმოოთ.

ოპერატიული კომპლექსისათვის შემუშავებულია შესაბამისი მათემატიკური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულებას, არამედ უშუალოდ ინფორმაციის მომხმარებლის პულტიდან ასახვის რეჟიმის დიალოგით წარმოებასაც.

გამოთვლითი კომპლექსი შედგება ოთხი გამომთვლელი მანქანისაგან და უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: გაერთიანებული ენერგოსისტემის მუშაობის ოპერატიული და გრძელვადიანი რეჟიმებისა და ძირითადი დანადგარების რემონტის ოპტიმალურ დაგეგმვის, მუშაობის რეჟიმის ანალიზსა და საწარმოო სტატისტიკური ინფორმაციის გადამუშავებას.

ამჟამად გაერთიანება სისტემატურად იყენებს 65-მდე ტიპის ამოცანა-პროგრამას. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოპტიმიზაციის ტიპის ამოცანებს. ამ მიმართულებით სამმართველოს კოლექტივი ეწევა დიდ მუშაობას როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ დამუშავებული პროგრამების დანერგვის, ისე ახალი მეთოდებისა და პროგრამების საკუთარი ძალებით დამუშავების საქმეში. სწორედ ამ სახის ამოცანების გადაწყვეტა იძლევა ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის უდიდეს ნაწილს.

აღსანიშნავია მეორე სახის სამუშაო, რომელიც ენერგეტიკის დარგში ჩვენს სამმართველოში პირველად შესრულდა. ეს არის ამოცანა „ტრენაჟორი“, რომელიც ჩვენი თხოვნით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა დაამუშავა. „ტრენაჟორი“ განკუთვნილია ოპერატიული პერსონალის ვარჯიშისათვის. იგი საშუალებას აძლევს გაერთიანების დისპეტჩერს დაამუშაოს და მოდელირება გაუკეთოს მართვის საკითხებს სხვადასხვა მოსალოდნელი სიტუაციებისათვის.

ამრიგად, პირველად ამიერკავკასიაში დაინერგა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მრავალმანქანური კომპლექსი ტერმინალური მოწყობილობების ფართო განშტოებული ქსელით.

კ. პეტრიაშვილი,
ამიერკავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებული სადისპეტჩერო სამმართველოს უფროსი.

ᲡᲙᲙᲞ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲓ!

ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲠᲐᲪ ᲓᲐᲒᲕᲘᲡᲐᲮᲐ, ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ!

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲠᲙᲔᲗᲘ

ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲓᲓᲐ ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემების მართვის ავტომატიზებული სისტემის მეორე რიგი. მისი ტექნიკური, მათემატიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფის, დანერგვისა და ამოქმედებისათვის შესრულდა ორგანიზაციულ-ტექნიკური და მეცნიერული ხასიათის საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები.

ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემა მოიცავს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ერთიან ენერგოსისტემას უერთდებიან.

ამ მეურნეობას ხელმძღვანელობს გაერთიანებული სალისპეტჩერო სამმართველო, სადაც შექმნილია მძლავრი გამოთვლითი ცენტრი და ინფორმაციის შეგროვებისა და ასახვის სისტემა. ოპერატიულ-ინფორმაციულ კომპლექსში შემავალი ელექტროენერგეტიკული მანქანები მუშაობენ ტექნოლოგიური პროცესის სინქრონულად, დროის რეალური მასშტაბით და უზრუნველყოფენ ტელეინფორმაციის მიღებასა და იმ მასივების ფორმირებას, რომელთა რეგისტრაცია და ეკონომიკური ანალიზისათვის, აგრეთვე სტრუქტურული სქემებისა და საცნობარო ინფორმაციის ასახვას პერსონალის მოთხოვნის მიხედვით.

განხორციელებულია გამომთვლელი მანქანების ავტომატური რეზერვირების სქემა, ინფორმაციის შემყვანი და გამომყვანი მოწყობილობების გადართვით, წამყვანი და მიმყოლი მანქანების ამორჩევით. ასეთი სქემა პრაქტიკულად გამორიცხავს შეფერხებებს ოპერატიულ-ინფორმაციული კომპლექსის მუშაობაში. გარდა ამისა ოპერატიულ-ინფორმაციული კომპლექსის გამომთველი მანქანები დაკავშირებულია გამომთველი კომპლექსის მანქანებთან, რაც საშუალებას იძლევა მიმდინარე ტელეგაზომვების საფუძველზე გაერთიანების რეჟიმის ოპტიმალური მართვისათვის ოპერატიული გამოთვლები ვაწარმოოთ.

ოპერატიული კომპლექსისათვის შემუშავებულია შესაბამისი მათემატიკური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო ზემოაღნიშნული ფუნქციების შესრულებას, არამედ უშუალოდ ინფორმაციის მომხმარებლის პულტიდან ასახვის რეჟიმის დიალოგით წარმოებასაც.

გამოთვლითი კომპლექსი შედგება ოთხი გამომთვლელი მანქანისაგან და უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: გაერთიანებული ენერგოსისტემის მუშაობის ოპერატიული და გრძელვადიანი რეჟიმებისა და ძირითადი დანადგარების რემონტის ოპტიმალურ დაგეგმვის, მუშაობის რეჟიმის ანალიზსა და საწარმოო სტატისტიკური ინფორმაციის გადამუშავებას.

ამჟამად გაერთიანება სისტემატურად იყენებს 65-მდე ტიპის ამოცანა-პროგრამას. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოპტიმიზაციის ტიპის ამოცანებს. ამ მიმართულებით სამმართველოს კოლექტივი ეწევა დიდ მუშაობას როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ დამუშავებული პროგრამების დანერგვის, ისე ახალი მეთოდებისა და პროგრამების საკუთარი ძალებით დამუშავების საქმეში. სწორედ ამ სახის ამოცანების გადაწყვეტა იძლევა ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის უდიდეს ნაწილს.

აღსანიშნავია მეორე სახის სამუშაო, რომელიც ენერგეტიკის დარგში ჩვენს სამმართველოში პირველად შესრულდა. ეს არის ამოცანა „ტრენაჟორი“, რომელიც ჩვენი თხოვნით საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა დაამუშავა. „ტრენაჟორი“ განკუთვნილია ოპერატიული პერსონალის ვარჯიშისათვის. იგი საშუალებას აძლევს გაერთიანების დისპეტჩერს დაამუშაოს და მოდელირება გაუკეთოს მართვის საკითხებს სხვადასხვა მოსალოდნელი სიტუაციებისათვის.

ამრიგად, პირველად ამიერკავკასიაში დაინერგა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მრავალმანქანური კომპლექსი ტერმინალური მოწყობილობების ფართო განშტოებული ქსელით.

კ. პეტრიაშვილი,
ამიერკავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებული სადისპეტჩერო სამმართველოს უფროსი.

ᲒᲕᲘᲡᲛᲝᲑᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ

● **ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲘ** მოქალაქეები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობას ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავის აღსანიშნავად კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ.

ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროებში გამართული მიტინგების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან გამოვდნენ შაბათობაზე და იმუშაონ უდიდესი შრომის ნაყოფიერებით. პროდუქციის გამოშვებასთან ერთად ავტოკარხნელები გაამწვანებენ და კეთილმოაწყობენ საწარმოს ტერიტორიას, მოაგროვებენ ჯართს.

18 აპრილს ავტომშენებლები იმუშავებენ დაზოგილი ლითონით, მასალებითა და ელექტროენერგიით, გამოუშვებენ 25 ავტოსაწევარს, 10 ნახევარმისაბმელს, 30 ათასი მანეთის ხათადარიგო ნაწილებს. ვარაუდობენ, ამ დღეს გამოუშვან 280 ათასი მანეთის პროდუქცია, სახელმწიფოს ფონდში ჩარიცხონ 9.800 მანეთი.

ქუთაისის პარკებსა და ქუჩებში დარგავენ 1000 ხეს და ბუჩქს.

მოსკოველთა თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ახრეშუმის საწარმოო გაერთიანების, ლითოფონის, ელექტრომექანიკური და სხვა ქარხნების კოლექტივებმა.

● **ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ** მექანიკური ქარხნის კოლექტივმა ქალაქში ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მოწოდებას — მოაწყონ კომუნისტური შაბათობა ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავის აღსანიშნავად.

კოლექტივს განზრახული აქვს 18 აპრილს დაამზადოს 9.000 მანეთის პროდუქცია. ეს არის კოშკურა ამწის მართვის კაბინათა კომპლექსი, ლითონის ხეიფები და კარადები, სახალხო მოხმარების საქონელი.

„წითელი შაბათობის“ დღეს თ. გაბარაევისა და პ. ჯიოევის მოწინავე ბრიგადებმა, რომლებიც ამზადებენ კოშკურა ამწეთა კაბინებსა და ლითონის კარადებს, ვალდებულება იკისრეს მიაღწიონ შრომის უდიდეს ნაყოფიერებას და წლის დამლევამდე შეინარჩუნონ ასეთი დონე.

ქარხნის მშრომელები მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 500 მანეთს. (საქინფორმი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ — ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

17 **ᲛᲐᲠᲢᲘ** მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ. ჰნოუპეკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაზე მთავარი ყურადღება დაეთმო სკკპ XXVI ყრილობისადმი ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში წამოყენებულ ახალ დიდმნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, დაძაბულობის შენელების გაღრმავება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა. ეს წინადადებები უკვე დიდ დადებითს გავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ინტერესებისათვის. საგანგებოდ აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური სახელმწიფოების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებას.

მხინისტრებმა მხარი დაუჭირეს იმ გზით წინსვლის უზრუნველყოფას, რომელიც დაიწყო ევროპის ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს ჩვენი შრომის ესოდენ მაღალ შეფასებისათვის. სამშობლოს ჯილდოებს აღვიქვამთ ლენინურად, ბოლშევიკურად, როგორც მომავალი გამარჯვებებისათვის ახალ სტიმულს. დღეს ჩვენ უნდა ვიშრომოთ უფრო მეტად და უკეთესად, ვიდრე გუშინ ვმუშაობდით. ეს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების საწინდარია. მამ, უფრო მაღლა აღვმართოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, ავამაღლოთ ყველა ჩვენი რეზერვი და შესაძლებლობა, მიმდინარე ხუთწლედის ყოველი დღე ეფექციოთ შემოქმედებითი შრომის დღედ!

დაჯილდოებულებმა დიდი მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, აღუთქვეს, რომ მთელს ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ მეთერთმეტე ხუთწლედის დიდი პროგრამის შესრულებას, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო განხორციელებას.

ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტოფაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, რომლებმაც გულითადად მიულოცეს დაჯილდოებულთ, უსურვეს მათ ახალი წარმატებები შრომაში სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, ბედნიერება პირად ცხოვრებაში. (საქინფორმი).

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ — ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲓᲡ

ᲧᲝᲕᲔᲚ თაობას თავისი გმირები ჰყავს, მაგრამ სხვადასხვა წლების გმირ კომუნისტებს საერთო თვისება ახასიათებს: სამშობლოს ერთგულება, პარტიის საქმის ერთგულება. 80-იანი წლები ჩვენმა რესპუბლიკამ დაიწყო იმ ოქროს ვარსკვლავების შუქით გაბრწყინებულმა, რომლებიც მიენიჭათ ოთხგზის ორდენოსან, რვაგზის წითელდროშოვანი საბჭოთა საქართველოს საუკეთესო ადამიანებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ნათქვამია:

მარცვლეულის, ჩაის ფოთლის ყურძნისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მეათე ხუთწლედის დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოთ და ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და უროს“ გადაეცეთ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეებს.

18 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ სამშობლოს მაღალი ჯილდოები გადასცა ხუთწლედის გმირებს.

— დღეს მე უაღრესად საპატიო მოვალეობა მაქვს შესასრულებელი,— თქვა მან, — სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები უნდა გადავცე გმირების ახალ თანავარსკვლავედს, ჩვენი რესპუბლიკის სასახელო ადამიანებს, რომლებსაც ეს წოდება მიენიჭათ პარტიის ისტორიული XXVI ყრილობის მუშაობის დღეებში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება მთელი რესპუბლიკის მშრომელთა გარჯის დაფასებაა, იმ წვლილის აღიარებაა, რომელიც მათ შეიტანეს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

ჩვენს ქვეყანას ყოველდღიურად ემატება ახალი გმირები, რაც სიამაყით გვავსებს. მაგრამ ორმაგად საპატიო და დასაფასებელია, როცა ამ უდიდეს ჯილდოს მშრომელები იღებენ ხუთწლეულის შედეგების მიხედვით, როცა იგი აგვირგვინებს მთელი რესპუბლიკის მიღწევებს ხუთი დამკვრელური წლის მანძილზე. სწორედ მთელი რესპუბლიკის შრომასა და გარჯას აგვირგვინებს, რადგანაც ჩვენი გმირები მთელი თავიანთი არსებით, მთელი სისხლითა და ხორცით დაკავშირებულნი არიან შრომელ ხალხთან, მათ ზრდიან და აწინაურებენ შრომითი კოლექტივები, ისინი ითვისებენ და ანვითარებენ ყოველივე იმ საუკეთესოს, რასაც მასების შემოქმედება წარმოშობს.

ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი დღევანდელი წარჩინებული ადამიანების შრომისა და ცხოვრების გზა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა მამია ჰასანის ძე აბაშიძეს.

ჩვენ თამამად შეგვიძლია გმირად მოვიხსენიოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელვაჩაურის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც თითქმის ოცი წელია სათავეში უდგას მამია აბაშიძე. მან მემკვიდრეობით მიიღო ჩამორჩენილი მეურნეობა და დააწინაურა იგი. კოლმეურნეობამ მნიშვნელოვნად გაადიდა ჩაის, ციტრუსებისა და ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, დაიჩქარა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების შენებლობა. მარტო ის რად ღირს, რომ ბოლო წლებში საკუთარი სახსრებით აქ აიგო ექვსი სასკოლო შენობა, სამი მათგანი — მეათე ხუთწლედში. მამია აბაშიძე როგორც სოფლის თავკაცი და მოამაგე, სახალხო დეპუტატი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ჰყავს ხუთი შვილი და ათი შვილიშვილი, გამოირჩევა გამრჯე კაცისათვის ნიშანდობლივი შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით, პარტიისა და ხალხის ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულებით. ჯილდოს მასთან ერთად ინაწილებს ასობით ჩვენი მოწინავე თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობათა დირექტორები, რომელთაც უდიდესი წვლილი შეაქვთ წარმოების აღმავლობასა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნაში.

გმირის სახელი დაიმსახურა გურამ დავითის ძე მგელაძემ, პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა. საყოველთაოდ ცნობილია ის წარმატებანი, რომლებიც აბაშელმა მშრომელებმა მოიპოვეს. ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო გმირობა, როცა საკოლმეურნეო მინდვრებს შეჭიდებულმა ათასობით პატრიოტმა თავდადების შესანიშნავი მაგალითები გვიჩვენა, ერთ დროს სამარცხვინოდ ჩამორჩენილი რაიონი მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. მასების შრომითს აღტაცებას კი უნარიანად წარმართავდა სოფლის მეურნეობის მართვის ახალი სისტემა, რომელიც უშუალოდ პარტიული ორგანიზაციების თაოსნობით დაინერგა.

რა თვისებები ახასიათებს გურამ მგელაძეს, როგორც მოწინავე პარტიულ მუშაკს? უწინარეს ყოვლისა მე გამოვყოფდი ორგანიზატორულ ნიჭს, იმის უნარს, რომ ერთსულოვნად დარაზმოს შრომელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი, დიდ ენერგიულობას. სწორედ ამ თვისებებმა, შერწყმულმა სიახლის გრძნობასთან, აამაღლეს პარტიული ორგანიზაციების ავტორიტეტი, განაპირობეს აბაშელთა ღირსშესანიშნავი წარმატებები და სწორედ ამიტომაც რაიკომის პირველი მდივნისათვის გმირობის მინიჭება შეიძლება განვიხილოთ როგორც მთელი რაიონის მშრომელთა ღირსეული ჯილდო, როგორც დამსახურებული ჯილდო პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნებისა, რომელთაც განსაკუთრებული როლი ეკისრებათ პარ

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები —პრაქტიკულ საქმედ!

სწავლობენ ყრილობის მასალებს

სადაც კი მივედი ამ დღეებში — ფერმაში, ჩაის პლანტაციაში, საკოლმეურნეო სახელოსნოში თუ საფუტკრეში, ყველგან წავაწყდი გაცხოველებულ საუბარს სკკპ XXVI ყრილობის მასალებზე. სოფლის მშრომელები მზურვალედ იწონებენ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიან მოხსენებას, გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ცხოვრებაში შთლიანად განხორციელებენ იმ გრანდიოზულ გეგმას, რომელსაც ყრილობა დასახავს.

მოხსენების ყოველ სტრიქონს სოფლის მშრომელები შემდგომში უფრო ღრმად და დაწვრილებით შეისწავლიან. ახლა კი მე და ჩემმა თანასოფლელებმა განსაკუთრებული უურადღება მივაქციეთ მოხსენების იმ ადგილს, რომელიც უშუალოდ ჩვენ, სოფლის პარტიულობის მუშაკებს გვეხება. ყველანი დავრწმუნდით, რომ მხოლოდ ჩვენზეა მთლიანად დამოკიდებული სასურსათო პროგრამის განხორციელება.

პარტიის ამ მოთხოვნის განხორციელებისათვის ჩვენმა გამსხვილებულმა კოლმეურნეობამ ცოტა რამ როდი გააკეთა. მეათე ხუთწლედში მივაღწიეთ მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სტაბილურობას. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა ხუთწლედში მოვკრიფეთ და ჩაის ფაბრიკას ჩავაბარეთ 9047 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. და ეს მაშინ, როცა გეგმა 5755 ტონა ფოთლის მოკრეფას ითვალისწინებდა. სიმინდის მარცვალი ვაწარმოეთ 2221 ტონა — ბევრად მეტი ვიდრე ხუთწლედი ითვალისწინებდა. შესამჩნევი ცვლილებები მოხდა ბოლო ორი წლის მანძილზე მეცხოველეობაში. მნიშვნელოვნად გადიდდა თითოეული ძროხის საშუალო წლიური ნაწველი. ამ მაჩვენებელმა 1545 კილოგრამს მიაღწია. ასევე კარგი მაჩვენებელი მოვიპოვეთ სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში. ხუთი წლის მანძილზე კოლმეურნეობამ მიიღო 2,2 მილიონი მანეთის წმინდა მოგება.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი, ორპირის კოლმეურნეობა, მეათე ხუთწლედში და მისი დამამთავრებელი 1980 წლის მანძილზე მოპოვებული მაღალი შედეგებისათვის დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ორპირელებს გვეამაყება, რომ საყრილობო სოციალისტური ვალდებულება შეგასრულეთ წარმატებით, მოვიპოვეთ თვალსაჩინო შრომითი გამარჯვება.

გადაწყვეტილი გვაქვს წელს მოკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 2800 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სიმინდის მარცვალს ვაწარმოებთ 5000 ცენტნერს, თითოეულ ფურზე მივიღებთ 1550 კილოგრამამდე რძეს. ვაწარმოებთ აგრეთვე 2450 კილოგრამ ამბრეშუმის პარკს.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა ოდენ პასუხსაგებია სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდა და მოსახლეობის ხურსათით უზრუნველყოფა. ყოველმხრივ ვეცდებით წარმატებით გადავწყვიტოთ ეს პრობლემა.

შ. კეთილაძე.
ქ. ტყიბულის ზონის ორპირის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

● ●

მსჯელობს იდეოლოგიური აქტივი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის კულტურის სახლში გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის იდეოლოგიური დარგის მუშაკები — პროპაგანდისტები, პოლიტინფორმატორები, აგიტატორები, ლექტორები, აქტივისტები.

თათბირზე განიხილეს ის აქტიურული ამოცანები, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა დაუსახა ქალაქის იდეოლოგიური დარგის მუშაკებს.

თათბირის მონაწილეებმა განსაზღვრეს მუშაობის კონკრეტული მიმართულებები და მოუწოდეს ქალაქის ყველა იდეოლოგიურ მუშაკს მთელი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ მეთერთმეტე ხუთწლედის დიდი პროგრამის უთუო შესრულებას.

დ. გედენიძე.

სასურსათო პროგრამის საფუძველია სოფლის მეურნეობა

სულ ათიოდე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVI ყრილობამ. დამეთანხმებით, ეს დრო იოტისოდენადაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ საფუძვლიანად გაიაზრო, გააანალიზო და კონკრეტული პირობების გათვალისწინებით სამოქმედო პროგრამად დაისახო საბჭოთის კომუნისტთა ამ მეტად საქმიანი, ანალიზური ფორუმის ისტორიული გადაწყვეტილებები, ის უაღრესად მნიშვნელოვანი დებულებები და დასკვნები, ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების, ახალი წარმატებების მოპოვების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ღრმაშინაარსიან მოხსენებაში, აშხანგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რომ გააკეთა.

ამიტომაც ამჟამად პარტიის რაიკომის, პირველადი პარტორგანიზაციების უმთავრესი საზრუნავია ის, რომ საფუძვლიანად გაეუმარტონ და გააცნონ რაიონის კომუნისტებს, მშრომელებს ამ ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებები, დარაზმონ ისინი მათი განუხრელი შესრულებისათვის.

საფიქრალ-საზრუნავი და რაც მთავარია, გასაკეთებელი კი ამ მხრივ ძალიან ბევრი გვაქვს. ყრილობაზე მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა წამოიჭრა და მათი განხორციელების კონკრეტული საშუალებებიც დაისახა, მაგრამ ამჟამად მინდა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ, სასურსათო პროგრამაზე ვგადმახვილო ყურადღება, ვილაპარაკო იმაზე, თუ რის გაკეთებას ვპირებთ იმისათვის, რომ საკუთარი წვლილი შევიტანოთ მის განხორციელებაში.

ახალციხის რაიონში სასურსათო რესურსების შევსების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წყაროა კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო დამხმარე მეურნეობა. ამას ის მოწმობს, რომ ამჟამად რაიონის მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობაში ირიცხება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მთელი სულადობის 47,8 პროცენტი, ძროხების 59 პროცენტი, ღორების 49,5 პროცენტი. დამხმარე მეურნეობის წილად მოდის ბოლო ხუთწლედში სახელმწიფოსათვის მიყიდული ხორცის 38,4 პროცენტი.

მიუხედავად ამისა, საკარმიდამო მეურნეობას ჩვენ სრულად ვერ ვიყენებთ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ რაიონში მცხოვრებთა 42 პროცენტს არა ჰყავს ძროხა, ხოლო 72 პროცენტს — ღორი. უარესი მდგომარეობაა ცალკეულ სოფლებში. მაგალითად, წყალთბილის საბჭოთა მეურნეობაში 1321 კომლიდან 618 კომლს, ანუ 46,8 პროცენტს, ხოლო სხვილისის სასოფლო საბჭოში 600 კომლიდან 451 კომლს, ანუ 75,2 პროცენტს არც ერთი პირუტყვი არ ჰყავს.

დაახლოებით ასეთი სურათია სხვაგანაც. კარგია, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებში გათვალისწინებულია კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო დამხმარე მეურნეობების განვითარება საზოგადოებრივ მეურნეობებთან მათი კოოპერირების საფუძველზე. ეს კი ჩვენ გვისახავს ამოცანას, უახლოეს მომავალში, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველსავე წელს მივაღწიოთ იმას, რომ სოფლად მცხოვრებმა ყველა ოჯახმა უთუოდ იყოლიოს ძროხა, ცხვარი, ღორი, ფრინველი და სხვა, რათა რაც შეიძლება მალე გავადიდოთ რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებელ დამხმარე მეურნეობათა რიცხვი.

რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა და სასოფლო საბჭოებმა უკვე დაიწყეს ზრუნვა იმისათვის, რომ ხელშეკრულების საფუძველზე გაერთიანდნენ ცალკეულ კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები, რომლებსაც გასასუქებლად მიეცემათ მოზარდი პირუტყვი, ხოლო უკვე 2000-მდე ოჯახი გაერთიანდება ღორის ხორცის საწარმოებლად, ხოლო 3000-მდე ოჯახი — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებლად და რძისა და რძის ნაწარმის დასამზადებლად. ამ გზით ჩვენ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ბოლოსათვის რაიონში დამატებით მივიღებთ სულ ცოტა 800 ტონამდე ხორცს და 1000 ტონამდე რძესა და რძის ნაწარმს.

საზოგადოებრივ მეურნეობებთან კოოპერაციაში გაერთიანებულ კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო დამხმარე მეურნეობათა კოოპერირებისადმი მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ, გვალვების მიუხედავად, რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების უმრავლესობა (მუსხის, ვალის კოლმეურნეობები, სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმი, აგარის, აწყურის, მინაძის, წყალთბილის საბჭოთა მეურნეობები) მოსახლეობას დაეხმარა პირადი დამხმარე მეურნეობისათვის საკვების დაგროვებაში.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ღონისძიებებით ესე იგი საკარმიდამო დამხმარე მეურნეობებში მეცხოველეობის დონის ასამაღლებლად მოსახლეობისათვის გაწეული დახმარებით, საზოგადოებრივი მეურნეობები დავიზარალოთ. პირიქით, ჩვენ დღენიადაგ უნდა ვიზრუნოთ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა რენტაბელური გავხადოთ. ამ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია შრომის სწორი ორგანიზაცია, კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური და მორალური სტიმულირების პროგრესული მეთოდების დანერგვა. ამაზე მეტყველებს ბევრი მოწონავე მეურნეობის გამოცდილება. მაგალითად, ანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მეკარტოფილეებს მატერიალური წახალისების სახით ეძლევათ გეგმის გადამეტებით წარმოებული პროდუქციის 50 პროცენტი, ხოლო დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის — მოსავლის 10 პროცენტი, წლევანდელი ხანგრძლივი გვალვების პირობებში ურწყავში ჰექტარზე 2-ჯერ მეტი კარტოფილი მოიყვანეს, ვიდრე პამაჯის, შინაძის და ზოგიერთმა სხვა საბჭოთა მეურნეობამ სარწყავში.

რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სასურსათო პროგრამის რეალიზაციას, სოფლად მოსახლეობის დამკვიდრებას, პენსიონერთა და სხვა კატეგორიის მშრომელთა უკეთ დასაქმებას. ყოველივე ეს სხვა ღონისძიებებთან ერთად დაგვეხმარება სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების და, კერძოდ, ზემოაღნიშნული სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებაში.

ხაუბარი ჩაიწერა „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა

შ. მაისურაძემ.

დელეგატის ფიქრები და გეგმები

როცა მიზანი ნათელია

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი

მერაბ ქაჯაია

შესანახად — ჯიშიანი სანაშენე დეკეულები; კოოპერაციის წევრები მიიღებენ ადგილზე გარეკვეული რაოდენობის კომბინირებულ საკვებს, თავიანთ მხრივ კი — წარმოებული პროდუქტების — ხორცის, რძისა და რძის ნაწარმის ნაწილს მიპყიდიან სახელმწიფოს. ამ მიზნით გაწეული მუშაობა ჩაეთლებათ შრომის სტაჟში.

წლეულსვე საზოგადოებრივ მეურნეობებთან კოოპერაციაში ცხვარი, ღორი, ფრინველი და სხვა, რათა რაც შეიძლება მალე გავადიდოთ რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებელ დამხმარე მეურნეობათა რიცხვი.

ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ჯერ ერთი, ეს ნიშნავს, ადგილობრივ ბაზაზე ფეხზე ადგომას, ადგილობრივ ბაზაზე ფეხზე ადგომა ნიშნავს

საკონსულტაციო შეხვედრა

17 მარტს მოსკოვის კავშირების სახლში გაიხსნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფების ხელმძღვანელთა საკონსულტაციო შეხვედრა.

დღის წესრიგშია 1980 წლის სექტემბერში ბერლინში გამართული საპარლამენტთაშორისო კავშირის 67-ე კონფერენციის შედეგების გამო აზრთა გაზიარება, საპარლამენტთაშორისო კავშირის ორგანოების მანილის საგაზაფხულო სხდომებისათვის მზადების საკითხების განხილვა. გაიმართება ინფორმაციათა ურთიერთგაცვლა 1981 წელს სოციალისტური ქვეყნების პარლამენტებისა და საპარლამენტო ჯგუფების საერთაშორისო კავშირიურთიერთობის გეგმების შესახებ.

18 მარტს მოსკოვში დამთავრდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფების ხელმძღვანელთა მორიგი საკონსულტაციო შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მხურვალედ უმჭერენ მხარს ახალ მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს, რომლებიც პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

საკონსულტაციო შეხვედრის მუშაობამ საქმიან ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. (საკადესი).

მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი

უველა საბჭოთა ადამიანთან ერთად, ჩვენი ქვეყნის მეცნიერები ყურადღებით სწავლობენ სკკპ XXVI ყრილობის დოკუმენტებს, რომელმაც მეთერთმეტე ხუთწლედის მშვიდობიანი აღმშენებლობის გეგმები დასახა. ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის მეცნიერებას, მის კავშირს პრაქტიკასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადამწყვეტ უბნებზე მეცნიერთა მეცადინეობის კონცენტრაციას. ამაზე იყო სხვებასი 13 მარტს მოსკოვში გახსნილ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრების სესიაზე.

კრების პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ი. მარჩუკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ს. პ. ტრაპეზნიკოვი, მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები.

სესია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. პ. ალექსანდროვმა.

მოხსენება „სკკპ XXVI ყრილობა ახალ ხუთწლედში მეცნიერების ამოცანათა შესახებ“ გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა.

1980 წელს და განვლილ ხუთწლეულში მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარმა სწავლულმა მდივანმა გ. კ. სკრიაბინმა.

შემდეგ სესიის მონაწილეები შეუდგნენ მოხსენებათა განხილვას.

19 მარტს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო წლიური კრება განაგრძობს მუშაობას. (საკადესი).

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმი

გაიმართა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ე. ამაშუკელი.

გამოკლებული მდივნების ნაცვლად რუსპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივნებად აირჩიეს გ. ყანდარელი, გ. გუნია და ნ. მეძმარიაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დ. გურამიშვილის წიგნის „დავითიანის“ რუსულ, უკრაინულ და ქართულ ენებზე ბროწეულად და მაღალხარისხოვნად გამოცემისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდა საკავშირო გაერთიანება „ვნეშტორგზდატისა“ და უკრაინის სსრ გამსახკომის გამომცემლობა „მისტეცტვოს“ მუშაკთა ჯგუფი:

დომონა გალინა ალექსის ასული — იმპორტული კანტორის უფროსი რედაქტორი, **დერლემენკო** ევგენი ანატოლის ძე — გამომცემლობა „მისტეცტვოს“ მხატვარი, ფოტოპოემის ავტორი, **ემელიანოვი** სერგი პავლეს ძე — საკავშირო გაერთიანება „ვნეშტორგზდატის“ დირექტორი, **კოფტოვი** ლეონიდე გიორგის ძე — საკავშირო გაერთიანება „ვნეშტორგზდატის“ დირექტორის მოადგილე იმპორტისა და ექსპორტის დარგში, **ნარინსკაია** ათინა ლეონიდის ასული — გამომცემლობა „მისტეცტვოს“ მხატვრული რედაქტორი, **რაკოვა** გალინა ვასილის ასული — იმპორტული კანტორის უფროსი რედაქტორი, **სიროტკინი** ვალენტინ ანატოლის ძე — იმპორტული კანტორის დირექტორი, **პავლოვსკაია** ნატალია სიმონის ასული — გამომცემლობა „მისტეცტვოს“ რედაქტორი, **ფალინი** სიმონ პავლეს ძე — იმპორტული კანტორის დირექტორის მოადგილე.

საკადესის განცხადება

ამ დღეებში ამერიკის შერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს კვლავაც აღუთქვოს ამერიკული იარაღით ავღანელ კონტრრევოლუციონერთა ბანდები, რომლებიც პაკისტანისა და ირანის ტერიტორიებიდან იჭრებიან ავღანეთში. უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან ერთად არის ავღანეთის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის ორგანიზატორი. მაგრამ ეს სახიფათო კურსი ამერიკის პრეზიდენტმა ოფიციალურად პირველად დადასტურა. ამით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი მონაწილეობა ავღანეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ ჩარევაში ახალ საფეხურზე აიყვანა.

ამერიკის ადმინისტრაციის ამგვარი მოქმედება კიდევ უფრო ართულებს ვითარებას მოლიანად სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ამ მოქმედების შედეგი იქნება ახალი სინძილვების შექმნა ავღანეთთან დაკავშირებით პოლიტიკური მოწესრიგების გზაზე. ამით ეს აუცილებლად დაზარალდებიან მოცემული რაიონის ყველა ქვეყნის, მათ შორის პაკისტანის ხალხები, რომლის ტერიტორიებიდანაც ხორციელდება ძირითადი სამარი ოპერაციები ავღანელი ხალხის წინააღმდეგ. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უკვე მისცა შეფასება პრეზიდენტ რ. რეიგანის გადაწყვეტილებებს, როგორც პროვოკაციულსა და მტრულს. ამას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.

საბჭოთა ხელმძღვანელი წრეებში აღნიშნავენ, რომ დაძაბულობის წყაროდ ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან ერთად არის ავღანეთის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის ორგანიზატორი. მაგრამ ეს სახიფათო კურსი ამერიკის პრეზიდენტმა აღიარა, ამით ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ, რომ ეს ფაქტი ამის ან მეგობარ ეროვნულ ენებზე, დღეს—ინდოეთის ოკეანესა და სპარსეთის ყურეში, ხვალ კიდევ სადღაც სხვაგან. იგი იმიზეზებს ამერიკის ტერიტორიიდან მრავალი ათასი მილით დაშორებულ ტერიტორიებზე თავისი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების გადიდებისათვის საკუთარი საქმიანობითვე გამოწვეულ დაძაბულ ვითარებას. შეერთებული შტატები ამას იყენებს როგორც მიზეზს ობსტრუქციული ხაზის გატარებისათვის ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის დიდი ღონისძიებების მიმართ, როგორიც არის ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევის კონფერენციის მოწვევა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ბოლო დროს საბჭოთა მხარემ უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის ტრიბუნიდან წამოაყენა ახალი დიდი სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც მიმართულია, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატებისადმი. ჩვენი ქვეყანა მზად არის სერიოზული, კონსტრუქციული დიალოგისათვის თანამედროვე საერთაშორისო ვითარების აქტუალურ პრობლემებზე, მათი გადაწყვეტის გზების ერთობლივი ძიებისათვის. ეს მთლიანად ეხება ავღანეთის პრობლემის საერთაშორისო ასპექტებსაც.

ამავე დროს სავსებით ცხადი უნდა იყოს, რომ მანამ, სანამ ავღანეთის ხალხისა და მთავრობის წინააღმდეგ ხორციელდება სამხედრო ჩარევა, აგრესიის აქტები, საბჭოთა კავშირი კვლავ დაეხმარება ამ მეგობარ მეზობელ ქვეყანას იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ეს საჭირო იქნება.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

საქადესისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო ლიდერების ზურგზე ცხოვრება

18 მარტი

სახიფათო ავანტიურები

აკოფწოდებენ „გაერთიანებულ ფრონტს“ კამპუჩიის წინააღმდეგ

პნომპენი. **კამპუჩიელი ხალხის მიერ ქვეყნის აღორძინების საქმეში მოპოვებული წარმატებები, რევოლუციური ხელისუფლების გაძმტკიცება თავგზას უნერევს პეკინელ ექსპანსიონისტებსა და საერთაშორისო რეაქციის სხვა ძალებს, აიძულებს მათ, წამოიწყონ ახალი სახიფათო ავანტიურები კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, ნათქვამია კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტოს კომენტარში.**

სწორედ ამიტომ, აღნიშნავს სააგენტო, ამერიკელ იმპერიალისტებთან პირშეკრული ჩინელი რეაქციონერები ცდილობენ შეაკოწიწონ კამპუჩიის წინააღმდეგ რაღაც „გაერთიანებული ფრონტი“. პეკინელ პატრონებს განზრახული აქვთ ახალ კონტრრევოლუციურ ბლოკში შეიყვანონ პოლ-პოტელთა ერთ-ერთი ლიდერი ქხიეუ სამფანი, აგრეთვე სონ სანი — მეთაური ბანდიტური დაჯგუფებისა, რომლის წევრებიც, პოლპოტელ ნაძირალათა მსგავსად, ცდილობენ მკვლელობისა და ძარცვა-გლეჯის მეშვეობით შეუშალონ ხელი ვითარების მოწესრიგებას სახალხო კამპუჩიაში.

სამი მილიონი კამპუჩიელის მოსპობაში ბრალეული პრესსისტლიანი ჯალათებისა და რეაქციონერების ამ ალიანსის მეთაურად პეკინს ნავარაუდევი ჰყავს კამპუჩიის ყოფილი მმართველი ნოროდომ სიანუკი, რომელიც კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფება და კამპუჩიისა და ვიეტნამის წინააღმდეგ სულ ახალ-ახალ განცხადებებს აქვეყნებს.

ეკვადორი—პერუ

ზარეგის გაყვანა დამთავრდა

ლიმა. **ნორმალურ კალაპოტში დგება ვითარება ეკვადორისა და პერუს საზღვარზე, სადაც მიმდინარე წლის იანვრის დამლევს მოხდა შეიარაღებული კონფლიქტი. იგი გამოიწვია ამ ორი ქვეყნის ტერიტორიულმა პრეტენზიებმა ერთმანეთის მიმართ.**

პერუს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხავიერ არიას სტელიამ აქ გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ დამთავრდა პერუსა და ეკვადორის ჯარების ქვეგანაყოფების გაყვანა ორი ქვეყნის საზღვრიდან, რომელიც კონდორის მთაგრეხილს გასდევს. ეს ფაქტი დაადასტურეს 1942 წელს რიო-დე-ჟანეიროში დადებული იმ ოქმის გარანტი ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლითაც დადგენილია პერუსა და ეკვადორის საზღვარი.

ჯარის ქვეგანაყოფების გაყვანა, თქვა მინისტრმა, აქარწყლებს ორი ქვეყნის შეტაკებათა საფრთხეს. გარანტი ქვეყნების წარმომადგენლებმა, ხაზი გაუსვა მან, დაადასტურეს აგრეთვე, რომ მხარეები მთლიანად იცავენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

სურინამი

შეთქმულება ჩაიფუშა

პარამარიბო. **სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე პატარა სახელმწიფო სურინამდან მიღებული ცნობების თანახმად, ამ ქვეყნის სამხედრო ხელისუფლებმა ჩაფუშეს სახელმწიფო გადატრიალების ცდა, რომლის ინიციატორი იყო სურინამის არმიის რაშდენიმე უმცროსი ოფიცერი.** ხელისუფალნი მთლიანად აკონტროლებენ ვითარებას. პუტჩისტების ხელმძღვანელი — სურინამის არმიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი — მძიმედ დაიჭრა მთავრობის ჯარებთან შეტაკებისას და ახლა რიტიკულ მდგომარეობაშია სამხედრო ჰოსპიტალში.

სურინამის უშიშროების ორგანოებმა დაატყვევეს შეთქმულებაში ეჭვმიტანილი ჩინური ეროვნების ოთხი კაცი. მათ ბრალად ედებათ შეთქმულთა დაფინანსება. ხელისუფლებამ აღმოაჩინეს იმ პირთა სია, რომელთა მოსპობას წილენი პუტჩისტებს ედროს.

სურინამის სოციალისტური ნიდერლანდის ყოფილი კოლონიაა. 1975 წლიდან, დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 25 თებერვალს ქალაქში ბოლოს მოსულ სამხედრო გადატრიალებას, რომლის შედეგად ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ერი ბოუტერსე სამხედრო საბჭო შეიარაღებული ძალების სარდლის დეზი ბოუტერსეს მეთაურობით. ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ გადადა, რომ განზრახული აქვს გრეხსული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელება.

გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

ალჟირი. **მავრიტანიის ეროვნული ხსნის მმართველმა სამხედრო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მაროკოსთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. ამას იუწყება მავრიტანიის პრესის სააგენტო.**

მანევრები „სოლიდ შილდს-81“

ვაშინგტონი. **ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ატლანტიკურმა სარდლობამ გამოაცხადა, რომ მაისში შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს სამხედრო ბაზებში გაიმართება დიდი სამხედრო მანევრები „სოლიდ შილდ-81“.**

პოლიტიკური მეთვალყურეობას მიაპყრობენ იმას, რათა ალიანსი ამერიკის შეერთებული შტატების ფართო იერარქიისათვის ვაშინგტონის რეგიონალურ ინტერესებს ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებზე მაღლა აყენებს.

ამერიკა: დივერსიებისა და შანტაჟის პოლიტიკა

■ გდრ

ეკონომიური „მოგზაურობა“

ბერლინი. **ბერლინ-დრეზდენის ავტომაგისტრალზე მოძრაობის შეუფერხებლად მოხდა 80 მეტრი სიმაღლისა და 1200 ტონა წონის გიგანტური ჩამჩიანი ექსკავატორის ტრანსპორტირება. ავტომაგისტრალზე მას ერთი ნაკაწრიც არ დაუტოვებია.**

მძლავრი საწევრების მეშვეობით მანქანა „აიყვანეს“ გადიდებული სიმტკიცის რეზინისაგან დამზადებულ სპეციალურ ფენილებზე. შემდეგ ექსკავატორმა დამოუკიდებლად გადალახა გზის პასუხსაგები მონაკვეთი კლეტვიცის მურა ქვანახშირის ამოწურული საბადოდან დაბა გრუბენდორფის ახალ საბადომდე.

ასეთი „მოგზაურობები“ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც უკანასკნელ ათწლეულში ახალ სამუშაო ადგილებზე თავისი სვლით გადაიყვანეს დაახლოებით 200 ექსკავატორი, თვითმავალი სატრანსპორტო ხიდი და სხვა ტექნიკა.

გამოანგარიშებულია, რომ ტექნიკის გადაზიდვის ასეთი მეთოდი 30 პროცენტით უფრო ეკონომიურია, ვიდრე მისი დაშლილი სახით ტრანსპორტირება სატვირთო მანქანებით ან რკინიგზით. გარდა ამისა, მცირდება მანქანების იძულებითი მოცდენის დრო: საჭირო აღარ არის მათი ხელახლა აწყობა და მექანიზმების გამართვა.

■ უნგრეთი

თერმული წყლები ნავთობის ნაცვლად

ბუდაპეშტი. **მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაფართოვდება თერმული წყლების გამოყენება უნგრეთის სოფლის მეურნეობაში.** ამას ითვალისწინებს აქ მიღებული პროგრამა. თერმულ წყლებზე მომუშავე ახალი საობურები, ორანჟერეები აშენდება ბევრ მეურნეობაში. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თერმული წყლების გამოყენება ამცირებს ენერგიის მოხმარებას, რომლის გამომუშავებას სჭირდება 60 ათასი ტონა ნავთობი.

■ ჩეხოსლოვაკია

აფართოებენ სიმძლავრეებს

პრაღა. **ქალაქ ტლმაჩის (დასავლეთ სლოვაკია) ს. მ. კოროვის სახელობის ენერგეტიკული მოწყობილობის ქარხანაში დაიწყო ახალი საწარმოო ობიექტების მშენებლობა როგორც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, ისე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში ატომური ელექტროსადგურებისათვის პროდუქციის გამოშვების ამაღლებისა და ასორტიმენტის გაფართოების საშუალებას მისცემს მას აითვისოს ახალ სახეობათა პროდუქციაც — მთელი რიგი კვანძები ბირთვული რეაქტორებისათვის. ისინი გაეგზავნება პლზენის გაერთიანება „შკოდას“ ბირთვული მანქანათმშენებლობის ქარხანას.**

■ ბულგარეთი

სოფლის კავშირი მეცნიერებთან

სოფია. **რესპუბლიკაში ხორბლისათვის დათმობილი ფართობების ნახევარზე მეტი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქ გენერალ-ტოშევოს ხორბლისა და მზესუმზირას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტთა მიერ გამოყვანილ ჯიშებს უკავია. ამ დღეებში სამეცნიერო დაწესებულებას 80 წელი უსრულდება.**

ბულგარეთის ინსტიტუტის მიღწევები ცნობილია ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. მის კოლექტივს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს 14 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის სელექციონერებთან. უკანასკნელ 15 წლის მანძილზე ინსტიტუტის სპეციალისტებმა გამოიყვანეს 20-ზე მეტი ახალი ჯიშის ხორბალი.

გფრ: საპროტესტო დემონსტრაცია

ვაშინგტონისა **და ნატოს მბედრიონის მიერ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიის მილიტარისტული მიზნებით გამოყენება, გამალებული შეიარაღება, სოციალური საჭიროებისათვის სახიუჯეტო ასიგნებათა შეკვეცა ამ ქვეყნის მცხოვრებთა კანონიერ გულისწყრომას იწვევს.**

ვისბადენში გამართული დემონსტრაციის (სურათზე) ახალგაზრდა მონაწილენი მოითხოვენ მასწავლებელთა რიცხვის და არა ნატოს რაკეტების გაზრდას... დასავლეთ გერმანიაში განუწყვეტლივ იზრდება უმუშევრობა მასწავლებელთა შორის.

საკადესის ფოტო.

დიდი გულისწყრომა

მადრიდი. **ესპანეთში დიდი გულისწყრომა გამოიწვია შეერთებული შტატების პოზიციამ სამხედრო გადატრიალების ჩაფუშული ცდის მიმართ.**

ჟურნალმა „კამბიო-16-მა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მკვეთრად გაკრიტიკა ამერიკის ადმინისტრაცია. დაგვიანებული და გულგრილი რეაქციისათვის ესპანეთის რეაქციული მხედრობის ინ ცდაზე, რომ მოეხდინა პუტჩი. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეტი წილი მთავრობებისაგან განსხვავებით, წერს ჟურნალი, ამერიკის შეერთებულ შტატებს არ გაუკეთებია ესპანეთის დემოკრატიის მხარდასაჭერი განცხადება.

განმარტავს რა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის მიერ საგარეო გადატრიალების ცდის მოხდენიდან ორსაათნახევრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებას, ეს ესპანეთის „საშინაო საქმეაო“, ჟურნალი წერს: „შეერთებულმა შტატებმა დაადასტურა, რომ ფაქტობრივად ხელს იბანს და რომ მისთვის ესპანეთში დემოკრატიის შენარჩუნების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ესპანელთა საშინაო საქმეა“.

„კამბიო-16“ ხაზს უსვამს, რომ ამასთან დაკავშირებით ესპანეთის მთავრობამ თავისი უკმაყოფილება განუცხადა ამერიკის ადმინისტრაციას. ჟურნალი წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციამ „შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მადრიდისა და ვაშინგტონის ურთიერთობის განვითარებაზე, მეტადრე ახლა, როცა ამერიკელებს სურთ გადაისინჯოს ესპანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების პირობები, რომელსაც მომდინარე წლის სექტემბერში გაუდის მოქმედების ვადა“.

მადრიდის გაზეთი „პაისი“ იუწყება, რომ გასული წლის ნოემბერში ჩაშლილი პუტჩის ორგანიზატორები შეხვდნენ პრეზიდენტ მრჩეველს, ამერიკის ელჩს ესპანეთში ალექსანდერ ჰეიგს, ესპანეთის ეროვნული უსაფრთხოებისა და ინფორმაციის ცენტრის ხელმძღვანელ ალბერტო ალონსოს, ესპანეთის ეროვნული ინფორმაციის ცენტრის ოფიცრებ

მ. ი. ლერმონტოვის ნახატი „თბილისი“. ზეთი. 1837 წელი.

მ. ი. ლერმონტოვის პირველი მუზეუმი მოსკოვში

მიხეილ ლერმონტოვის ლექსებსა თუ პროზაულ ნაწარმოებებს ზუსტი მისამართები აქვს: მოსკოვი, პეტერბურგი, ტარხანი, კავკასია... მაგრამ სწორედ დედაქალაქში, მოსკოვში, რომელსაც იგი გულთბილსა და კეთილს უწოდებდა, დაიბადა ლერმონტოვი, როგორც პოეტი, რომელმაც ესოდენ ხანმოკლე, მაგრამ შემოქმედებით უაღრესად მდიდარი ცხოვრება განვლო.

მოლჩანოვკაზე ერთსართულიან მეზონინიან ვარდისფერ სახლში აღზრთოვანებულმა და გახარებულმა თექვსმეტი წლის ბიჭმა მიიტანა ჟურნალი, რომელშიც დაბეჭდილი იყო მისი პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოები. ამ ძვირფას რელიკვიას და პოეტის სხვა ნივთებს ნახავთ მ. ი. ლერმონტოვის მუზეუმში, რომელიც ახლახან გაიხსნა მოსკოვში.

ეს ძველი სახლი ზუსტად ისეა მოწყობილი, როგორც ლერმონტოვის დროს იყო.

მრავალფეროვანი იყო სტუდენტი ლერმონტოვის ინტერესები — პოეზია, მუსიკა, ფერწერა. მის კაბინეტში ნახავთ ხელნაწერებს, საფერწერო მაგიდას, ჭადრაკს, ნოტების რვეულს... ყველაფერი აღდგენილია, ყოველი დეტალი.

სასტუმრო ოთახში ჰკიდია ოჯახის წევრთა პორტრეტები, რომლებიც ტარხანში დაუხატავთ ყმა მხატვრებს, იქვეა თვით ლერმონტოვის ნახატები, აკვარელი, ტილოები.

იოლად როდი შეგროვდა ეს ექსპონატები. სპეციალისტებმა კარგად იციან, რა ცოტა მასალები შემორჩა ლერმონტოვის ცხოვრების შესახებ — არა გვაქვს პოეტის დღიურები, არის სულ რამდენიმე წერილი. დიდი პატივისცემის ღირსია იმათი შრომა, ვინც შეაგროვა და აღადგინა პოეტის, რუსეთის დიდი მოჭალაქის, მოსკოვის პატრიოტის ცხოვრების ფასდაუდებელი მოწმენი.

სურათზე: ქვემოთ — მ. ი. ლერმონტოვის სახლ-მუზეუმის პირველი საპატიო სტუმარი, რა თქმა უნდა, იყო ირაკლი ლუარსაბის ძე ანდრონიკოვი — მეცნიერი მკვლევარი, პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობისა და ბიოგრაფიის დიდი მცოდნე, რუსული და საბჭოთა ლიტერატურის და პოეზიის პოპულარიზატორი. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი, რუსეთის სფსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ნ. ვ. შახალოვა ეხაუბრება მას იმის შესახებ, თუ როგორ განალაგეს ექსპონატები;



ამ ჭადრაკის მაგიდასთან უყვარდა პოეტს მეგობრებთან თამაში, კედელზე ჰკიდია პატარა მიხეილის პორტრეტი, რომელიც ტარხანში დაუხატავს ყმა მხატვარს.

ვ. იაცინას ფოტო (ხაკდესის ფოტოქრონიკა).

„დინამო“ ნახევარფინალში ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი

თბილისის „დინამო“-ლონდონის „ვესტ-ჰემი“ — 0:1 (0:0)

თბილისი, 18 მარტი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 80 ათასი მაყურებელი.

მსაჯები: ეშვაილერი, ვალტერი და ტანჯერი (სამივე — გფრ).

„დინამო“: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, ჭილაია (მუჯირი, 77-ე წუთიდან), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„ვესტ ჰემი“: პარკსი, სტიუარტი, ლამპარდი, ბონდხი, მარტინი, ბრაში, ნეიბურგი, გოდარდი (პირსონი, 65-ე წუთიდან), კროსი, ბრუკნგი, პაიკი.

მატჩის პირველი ტაიმი სანახაობრივად არც თუ საინტერესო გამოდგა. შესვენების შემდეგ დინამოელებმა ტემპსაც უმატეს და იერიშებსაც მწვავე ხასიათი მისცეს. „ვესტ ჰემის“ კართან რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა ამჯერად კარის აღების ეს შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს. და მაშინ, როცა მატჩის დასასრულმა მოაღწია და, უგოლოფრეს ველოდით, ლონდონელებმა ერთადერთი ეპიზოდური შეტევა პირსონმა გოლით დააგვირგვინა. ეს იყო ლონდონელების საპრესტიჟო გოლი.

მაშ ასე, „დინამო“ ნახევარფინალში გავიდა. ამ ეტაპზე წარმატებას კი დიდი თავდადება და დიდი შემართება სჭირდება.

ჯ. ცინცაძე

სურათზე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

ჯ. ლომაძის ფოტო.

თეატრი

წარსული — დღევანდელი თვალით

„პროვინციული ამბავი“ ლალი როსებას მეორე პიესაა. მწერლის დრამატურგიული დებიუტი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე შედგა და, უნდა ითქვას, რომ ავტორსაც და თეატრსაც გაუმართლდა მოლოდინი.

ლალი როსებას განსჯის, ძიებისა და ჩაღრმავების ობიექტი ადამიანის ფსიქოლოგიური სამყაროა. მისი მწერლური ინტერესები მჭიდროდ არის დაკავშირებული თეატრალურ ცხოვრებასთან და, როგორც ჩანს, ღრმადაც იცნობს თეატრალური სამყაროს ყველა ნიუანსს. მწერლის მახვილი თვალი იოლად ჭვრეტს გმირის ცხოვრებისეული წვრილმანებით აღსავსე, ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივ გზას. დრამატურგის მიერ არჩეულ სწორედ ამ „მარტივ“ გადაწყვეტაში იკვეთება მისი ნამდვილი ოსტატობა; გარეგნულ სისადავეში მწერალი ატარებს ღრმა იდეებს, წამოჭრის მთელ რიგ პრობლემურ საკითხებს, ახერხებს თითოეული გმირის ცხოვრება განმსჭვალოს ძლიერი ადამიანური ვნებებით, ტკივილებით, სიხარულით, სულიერი აღზევებით.

პიესის პერსონაჟები ერთ-ერთი პატარა ქალაქის თეატრის მსახიობები არიან, თავისებური ბედ-იღბლის ადამიანები, რომელთა ხვედრი მძიმე გამოდგა მიყრუებულ პროვინციაში, მაგრამ პროფესიისადმი უსაზღვრო ერთგულებამ, თავგანწირვამ, ფანატიკურმა სიყვარულმა გააძლებინა მათ გამწვავებულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. დრამატურგი ფსიქოლოგიური სიზუსტით სწვდება თავის პერსონაჟთა ბუნებას, თამამი, ზოგჯერ ზედმეტად გაბედული მხატვრული ხერხებით აშიშვლებს მათ სულიერ სამყაროს მაყურებლის წინაშე, დაუფარავად აყენებს მაღალ მორალურ-ეთიკურ პრობლემებს.

სცენაზე დაბზარულკედლებიანი მიულაგებელი ხელმოკლე ოჯახის შესაფერისი ძველმოდური, ბინაა, გაცვეთილი ავეჯი, აქა-იქ მიმობნეული სურათები ნათამაშევი სპექტაკლებიდან, ავანსცენაზე — ტომი, რომელზეც ჩამონადენი წვიმის წვეთები წკაპუნებს მონოტონურად, ოღნავ მბეჭუტავი ნავთქურა — ასეთია დამდგმელ-რეჟისორ მედეა კუპუხიძისა და „სამეული“ მხატვრის (ოლეგ ქოჩაკიძე, ალექსანდრე სლოვინსკი, იური ჩიკვიძე), ერთობლივი ჩანაფიქრი, რომელიც გემოვნებით, ზომიერების დიდი გრძნობით არის ხორცშესხმული.

სიღრმისეული ძიებანი, ხასიათის ფსიქოლოგიურ ნიუანსებზე მუშაობის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალების ფასეულობათა შემჩნევისა და გამომზეურების საშური უნარი გამოავლინა მედეა კუპუხიძემ. გმირთა სცენური ცხოვრების არც ერთი ეპიზოდი, შეიძლება ითქვას — უბრალო ამოსუნთქვაც კი უყურადღებოდ არ არის დატოვებული. თითოეულ მსახიობს თავისი ზუსტი ამოცანა აქვს მიცემული, რომელსაც იგი ასევეა სიზუსტით ასრულებს და მთელი სპექტაკლის მანძილზე არც ერთხელ არ აგვაკვიატებათ კითხვა — რატომ? რისთვის?. ლოგიკური თანამიმდევრობით არის შეკრული მთელი წარმოდგენა და ეს რეჟისორის დიდი მიღწევაა, თუმცა მ. კუპუხიძისთვის შუამაობის ამგვარი მეთოდი საერთოდ დამახასიათებელია, მის წარმოდგენებში ყოველთვის იგრძნობა დეტალადმი განსაკუთრებული ინტერესი, ფსიქოლოგიურ შრეებში წვდომა და აქედან გამომდინარე, მრავალმხრივ საინტერესო ძიებანი. ამ თვალსაზრისით „პროვინციული ამბავი“, ვფიქრობთ, რეჟისორის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და სერიოზული ნამუშევარია.

წარმოდგენის გამარჯვების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ აქტიორული ანსამბლი. ყველა როლი ზედმიწევნით არის დამუშავებული. თითოეული მსახიობი ახალი კუთხით, სულ სხვა, ჯერ კიდევ გამოუვლენელი შესაძლებლობებით წარმოგვიდგა და, ამ მხრივაც, სპექტაკლმა თავისი სიტყვა თქვა მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში.

აქტიორული მიღწევის ნათელი მაგალითია ოთარ მეღვინეთუხუცესის ლეო. მ. კუპუხიძე არ შეშინდა, როცა ლეოს უალრესად ყოფითი ხასიათის როლი გმირულ-რომანტიკული მონაცემების მქონე მსახიობს მიანდო. რეჟისორის ინტუიცია უტყუარი გამოდგა — მსახიობმა გამოავლინა თავისი აქტიორული პალიტრის ახალი ფერები.

ო. მეღვინეთუხუცესი შემოდის სრულიად უჩვეულო მანერით, რუხ დამოკლებულ პიჯაკსა და ქუდში გამოწყობილი (შემდგომ მსახიობი თავის ჩაცმულობას მაკინტოშსაც შემატებს). მახვილგონივრულად მიგანებულ გარეგნულ მონახაზს მეტ კოლორიტს მატებს საგულდაგულოდ ჩაყოლებული თეთრი კაბნე, რომელსაც მსახიობი ასე მოხდენილად ხმაროს. სავსებით განსხვავებულია ამ სპექტაკლში ო. მეღვინეთუხუცესის მეტყველება. მსახიობი პოულობს მრავალფეროვან ინტონაციებს, ტემბრულ სხვაობებს გმირის ბინაგან განწყობილებათა შესაბამისად, რითაც ამდიდრებს სახეს და ზრდის მის მნიშვნელობას.

ლეო, ო. მეღვინეთუხუცესის ინტერპრეტაციით, მოკლებული არ არის შინაგან ღირსებებს. მის ნებისმიერ საქციელში გამოსჭვივის ფარული სიამაყე და თვითდარწმუნება. საკუთარი ძალის რწმენა და ოპტიმიზმი შეიმჩნევა ლეოს მოქმედებებში მაშინაც კი, როდესაც მდგომარეობა უკიდურესად იძაბება და იმედის ნიშნწყალი თითქმის არსაიდან ჩანს. როგორი სიზუსტითა და სიმძაფრით მიჰყავს მეღვინეთუხუცესს მურმანთან პირველი შეხვედრის სცენა! გარეგნულად იგი ლაღი, დროის მზიარული მატარებელი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ რამდენი ტრაგიკული ნაღმია დაფარული მის ამ ისტორიულ ჩაქირქილებაში, რამდენი ორაზროვანი ქვეტექსტია წარმოჩენილი!.. ო. მეღვინეთუხუცესი კიდევ უფრო ზრდის მურმანთან ირონიულ დამოკიდებულებას სცენაში, როდესაც იგი უსიამო პიროვნებასთან ურთიერთსაქმიანობის ეპიზოდს შეახსენებს მას. ამ დროს ლეოს თვალებსა და ინტონაციაში ზიზღი და დაცინვა, მუქარა და კატეგორიული მოთხოვნა ისეთი ძალით აღიბეჭდება, რომ აშკარაა მურმანი ვერ გაუძლებს ასეთი ძალის შემოტევას.

პიესისა და წარმოდგენის მიხედვით ყველაზე მეტი დატვირთვა ზიზის ეკისრება. იგი სხვებზე ღრმად არის ჩართული ცხოვრებისეულ მორევში, საიდანაც თავდასაღწევი ძლივს თუ მოჩანს. ამგვარი დრამატურგიული დასასიათება ზიზის როლს შემსრულებელს რთულ ამოცანებს უსახავს. ნანი ჩიქვანიძემ ახალი ელფერადობა შესძინა ლ. როსეას პერსონაჟს. მსახიობი გაორკეცებული განცდით თანაუგრძნობს თავის გმირს, სულის სიღრმემდე სწვდება მისი საქციელის ყოველ წვრილმანს. ინტელექტისა და ვნებათ ღელვის შერწყმის ჰარმონიულობით ნ. ჩიქვანიძე ერთგვარად აკეთილშობილებს, ლირიკულ ელფერს მატებს ზიზის სახეს,

გამუდმებული ფუსფუსისგან წელში წახრილი, ნერვიული და ეგოდიანია გურანდა გაბუნიას ნინო, მსახიობი საოცრად გულწრფელია თავისი გმირის დანეულობისა და უმწეობის წარმოსახვისას. იგი ხედავს, რომ არ გაუმართლა მას და მის ოჯახს, მწვავედ განიცდის ცხოვრებაში ხელმოცარულობას, მაგრამ ვერაფრით შველის შექმნილ მდგომარეობას, წუწუნსა და მელოდრამატულ ოცნებებში ლა პოულობს შვებას. გ. გაბუნიას გმირის სცენური ცხოვრების არც ერთი წამი არ არის მოდუნებული და (ცარიელი; გაოცებთ მსახიობის „შინაგანი დატვირთვა.

თავშეკავებული მანერით, ცხოვრების სირთულეებში გამობრძმედილი კაცის სიდინჯითა და ტაქტით „წარმოგვიდგენს თავის გმირს კოტე მახარაძე, მსახიობი გვაჯერებს, რომ მურმანის კაცია, რომელსაც სიყვარულიც შეუძლია და ზურგის შექცევაც, ერთგულებაც ძალუძს, და, ამავე დროს, გზადან მოულოდნელი გადახვევაც არ არის მისთვის უცხო.

სულიერი აღზევების, პროტესტის ძლიერ გამოვლინებად იქცა სპექტაკლში გიზო სიხარულიძის მიერ ბრწყინვალედ ხორცშესხმული გალოთებული სტუმრის სახე, მსახიობმა გაზარდა ეპიზოდური როლის მასშტაბები — ტრაგიკულ სიმაღლემდე აიყვანა არსი თავისი ეპიზოდისა და შემძრწუნებელი სიმართლით წარმოთქვა: ხალხო, გაფრთხილდით, ჩემი ხვედრი არ გაიზიაროთ, თორემ უფსკრულიდან ამოხტომა შეუძლებელია!...

ლ. როსეას „პროვინციული ამბავი“ გარდასული დღეებს ეხება, მაგრამ მისი გმირები, საერთო საქმისადმი ფანატიკური ერთგულებით რომ გვხიბლავენ, დღესაც ახლობელნი არიან ჩვენთვის.

ვ. ძიგუა.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან: ო. მეღვინეთუხუცესი — ლეო; გ. გაბუნია — ნინო.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ინფორმაცია — 81

შორეული ზღვებიდან

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემებისა და სახმელეთო ორგანიზაციების კოლექტივები მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის მრომითს ვახტზე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ.

სანაოსნოში შორეული ზღვებიდან სასიხარულო ცნობები მოდის. ტანკერმა „ალექსინმა“ საბჭოთა სარწყ გემებს ოკეანეში 12 საათით ადრე მიუტანა საწვავი, ხოლო თევზსაჭერი გემების დამუშავებაზე 78 საათი დაიზოგა. გარდა ამისა, ეკიპაჟის წევრებმა საკუთარი ძალებით შეასრულეს 800 მანეთის მოცულობის სარემონტო სამუშაოები. თბომავალმა „თბილისმა“ გეგმის გადამეტებით გადაზიდა 60 ტონა ტვირთი, ხოლო მშრალი ტვირთი საგეგმოზე 38 საათით ადრე დაცალა.

ტანკერ „ქერჩის“ ეკიპაჟმა შორეულ ზღვებში მოამარაგა 17 თევზსაჭერი გემი. განვლილ 2 თვეში დაზოგა 36 ტონა საწვავი და 2.450 მანეთი. კარგი მაჩვენებლები აქვს „გენერალ მერკვილაძისა“ და სხვათა ხომალდების ეკიპაჟებსაც.

მ. გორგილაძე,
„ლომონოსოვის“ საკ. კორ.

გაშენდა ლიმონის ბაღები

ქობულეთი (საკ. კორ.). რაიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხრეთული კულტურების, განსაკუთრებით კი ლიმონის ნარგავების გაშენებას. ამის საუკეთესო მაგალითია სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობა. აქ შარშან შემოდგომაზე გაშენეს და სათუთად უვლიან 4.500 ძირ ლიმონის ნერგს.

კოლმეურნეები მიღწეულს არ სჯერდებიან; წელს გაზაფხულსა და შემოდგომაზე პლანტაციებს ათასობით ახალ ნერგს შემატებენ.

ძველგული აგანო: მეორედ დაგადგა

ორთაჭალის № 7 გოგირდის აბანოს შენობის დათვალიერებამ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს რესტავრატორი არქიტექტორები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სამსართულიანი შენობის ქვეშ უძველესი ძეგლი უხდა ყოფილიყო. როცა გაპარატებული ნაგებობანი აიღეს, თვალწინ გადაიშალა ძველი აბანოს კომპლექსი. ოდესღაც იგი სიონის ტაძარს ეკუთვნოდა, XVIII საუკუნეში კი ერეკლე მეორის საკუთრება გახდა.

ძველმა ხუროთმოძღვრებმა იზრუნეს იმაზე, რომ აბანოს ყოველ ნაკვეთურს ინდივიდუალური შიდა დაგეგმარება ჰქონოდა. გუმბათის ღიობები ერთდროულად განათებასაც ემსახურებოდა და ვენტილაციასაც. აბანოს მარჯვენა ფრთა გადაკეთებული იყო. მას ეკვროდა XX საუკუნის დამდეგის ნაგებობა.

გადაწყდა ძველი აბანოს რეკონსტრუქცია და აღდგენა პირველი სახით. (საქინფორმი).

პოეტის სალაღ ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.). სიცოცხლე ლექსთან ლექსით — ასე უწოდეს ბატონერმა ქუთაისელებმა ცნობილი პოეტის მ. ალ. ბოლოსანის ოცდაოთხ ლექსს. ეს ლექსები ბოლოსანმა ბავშვობიდან, ოცდაათ წელზე მეტ ხანს, ბეჭდავდა ქუთაისელ ბავშვთა ჟურნალ „ალუმინსტერში“ (28:23). საუკეთესო ლექსებში დამკვიდრდნენ მინსკის, ... და კაუნასის „გრანიტასი“ — 33-33 ქულა, ცსკა — 31, თბილისის „ბურევესტნიკი“ — 29, მოსკოვის „კუნცევო“ — 28 და კიევის ასკ — 25 ქულა. სწორედ ამ ექვსეულის ბინადარნი გაგრძობენ მედლებისათვის ბრძოლას. ხელმბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართება 7-12 აპრილს თბილისში.

„ბურევესტნიკი“ ექვსეულში

კიევში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე წრის დასკვნითი ტურნირი. ასპარეზობის ბოლო დღეს თბილისის „ბურევესტნიკმა“ დააჯილა ზაპოროჟიეს „ალუმინსტერი“ (28:23). საუკეთესო ექვსეულში დამკვიდრდნენ მინსკის ... და კაუნასის „გრანიტასი“ — 33-33 ქულა, ცსკა — 31, თბილისის „ბურევესტნიკი“ — 29, მოსკოვის „კუნცევო“ — 28 და კიევის ასკ — 25 ქულა. სწორედ ამ ექვსეულის ბინადარნი გაგრძობენ მედლებისათვის ბრძოლას. ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართება 7-12 აპრილს თბილისში.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

რედაქციაში ყოველდღიურად მოქალაქეთა მრავალი იურიდიული ხასიათის შეკითხვა შემოდის. მათი ავტორები გვწერენ პირად ცხოვრებაში შექმნილ კონკრეტულ (ზოგჯერ კონფლიქტურ) სიტუაციებზე, რომლებიც მეტწილად ბინასაა, საპენსიო უზრუნველყოფის, შრომითი დავის, მიწათსარგებლობის სხვა საკითხებს ეხება. ამასთან ითხოვენ რედაქციას განუმარტონ, რამდენად კანონიერი და სამართლიანია მათი მოთხოვნა და რამდენად შეესაბამება არსებულ სახელმწიფო კანონმდებლობას.

ხშირად შეკითხვების არსი ანალოგიურია და ერთსა და იმავე სფეროს შეეხება. ამიტომ რედაქცია მიზანშეწონილად თვლის მკითხველთა შეკითხვების საფუძველზე და მათი თხოვნით მოაწყოს თემატური იურიდიული საუბრები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ იურისტები, სამინისტროებისა და უწყებების შესაბამისი დარგების სპეციალისტები, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

ამჯერად გთავაზობთ მშრომელთა წერილების განყოფილების კორესპონდენტის საუბარს საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული კონსულტაციის განყოფილების უფროსთან ბ. იოსებაშვილთან სამინაო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ: სამინაო კანონმდებლობაში მოცემულია საკალდებულო ნორმა, როცა საცხოვრებელი სადგომის გაცვლა არ შეიძლება, კერძოდ, თუ სასამართლოში აღძრულია სარჩელი ბინის დამქირავებლის ბინიდან გამოსახლების შესახებ; ბინების გაცვლა სპეციალიურ ან ფიქციურ ხასიათის ატარებს; ერთ-ერთი გასაცვლელი ბინა ეკუთვნის იმ საწარმოს ან დაწესებულებას, რომელიც შეტანილია მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხაში, რომელთა სახლებიდან შეიძლება გამოსახლება სამაგიერო ბინის მიუცემლად; გასაცვლელი სახლი ავარიულ მდგომარეობაშია ან შეტანილია სიაში, რომელიც აღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის; გასაცვლელი ერთ-ერთი ბინა სამსახურებრივი სადგომია ან საერთო საცხოვრებელს ეკუთვნის. ბინების გაცვლისას სხვა დამაბრკოლებელი გარემოებანი, ვთქვათ, ფართობის სხვაობა, საკუთრების სხვადასხვაობა და სხვა, კანონით გათვალისწინებული არ არის.

კორესპონდენტი: მოქალაქეები ნ. სუხიტაშვილი, გ. ბუხაიძე და სხვები გვეკითხებიან: ვინ ითვლება ქვემოქირავედ და რა უფლებებით სარგებლობენ ისინი? როგორია ამ კითხვებზე სწორი იურიდიული პასუხი?

ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ: საბინაო კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ ბინის ძირითად დამქირავებელთან და მისი ოჯახის წევრებთან შეიძლება მათი თანხმობით ცხოვრობენ არა ოჯახის წევრები — ქვემოქირავენები ანუ ქვემდგმურები. კომუნალური ბინის დამქირავებელთან ქვემოქირავნების ჩასაწერად საჭიროა აღმასკომის თანხმობა, ხოლო საუწყებო და კერძო საკუთრების ბინებში — უწყების ხელმძღვანელობის და სახლის მესაკუთრისა.

ქვემოქირავნები, აღნიშნულ ბინებში ცხოვრების ვადის მიუხედავად (მნიშვნელობა არა აქვს ავრეთვე იმას, იხდიან თუ არა ისინი ბინის ქირას), დამოუკიდებელ უფლებას ბინის ფართობზე ვერ მოიპოვებენ. ბინის დამქირავებელს ყოველთვის შეუძლია გაასახლოს ქვემოქირავნე, ოღონდ ამის შესახებ სამი თვით ადრე უნდა გააფრთხილოს.

ამრიგად, ქვემოქირავნები უბინაო მოქალაქეებად ითვლებიან და ისინი საერთო წესით, კანონის დაცვით უხდა იქნენ აყვანილნი ბინის მიღების აღრიცხვაზე.

კორესპონდენტი: აქ არ შეიძლება არ დაებადოთ მკითხველებს ერთი ასეთი კითხვა: თუ მოქალაქეს კერძო მესაკუთრის სახლში დაქირავებული აქვს, ვთქვათ, ერთი ოთახი და იქ ოჯახით ცხოვრობს, ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისას რომელი ფართობი იქნება მხედველობაში მიღებული — ის, რომელიც დამქირავებელს უკავია, თუ ბინის ის ფართობი, რომელიც სახლის მეპატრონეს ეკუთვნის?

ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ: კითხვა უთუოდ პრაქტიკით ნაკარნახევი და საინტერესოა. მოქალაქეები ზოგჯერ მართლაც ჩიენან ამ გაუგებრობის გამო: კანონი კი ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს იძლევა: მოქალაქის ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანისას გაითვალისწინება მხოლოდ დამქირავებელის მიერ დაკავებული ფართობი.

კორესპონდენტი: და ბოლოს კიდევ ერთი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემას ხშირად გვთხოვენ მკითხველები: ვინ ითვლება საბინაო კანონმდებლობით ოჯახის წევრებად და როგორია ოჯახის ახალ წევრად მოქალაქის მიღების წესი?

ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ: კანონით ბინის დამქირავებლის ან სახლის მესაკუთრის ოჯახის წევრად ითვლებიან მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. სხვა ნათესავები და აგრეთვე შრომისუუნარო სარჩენი პირები შეიძლება ცნობილ იქნენ ბინის დამქირავებლის ოჯახის წევრებად, თუ დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ და მასთან ერთად ეწევიან საერთო საოჯახო მეურნეობას.

ბინის დამქირავებელს შეუძლია აგრეთვე ჩაისახლოს და მიიღოს ახალი ოჯახის წევრებად მეუღლე, მშობლები, შვილები, სხვა ნათესავები და მისი სარჩენი სხვა შრომისუუნარო პირები. ამ პირების ოჯახში ჩასახლებისა და ოჯახის ახალ წევრად მიღებისათვის საჭიროა დამქირავებელთან მცხოვრები ყველა სრულწლოვანი პირის წერილობითი თანხმობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განსაკუთრებით ხშირად ხდება ხელმე სადაო ბებიასთან ან ბაბუასთან შვილიშვილის ჩაწერა საკითხი. კანონმდებელს ამ აქტი შეუძლია არ დაუშვებინ შემთხვევაში, როცა შვილიშვილი მცირეწლოვანი შვილებისებრ ის ან ბაბუის ბინებში 15 ჩაწერას, ვინაიდან სრულწლოვნ ასაკამდე მათ ... თა საცხოვრებელ ... უნდა, ... მშობლების (რა ... ბინა ... ისინი ... ცხოვრები ... ვილი სრულ... ველება. თუ ... ნ ... ...